RUSALLOYS

№ 01-023/01-21 / 13 / 04 / 2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია შპს „რუსელოის"-ს დაგეგმილი აქვს აგლომერაციის საწარმოს მოწყობა. გამომდინარე იქედან რომ დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება გამოიწვევს კომპანიის ექსპლუატაციის პირობების შეცვლას საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მოთხოვნების შესაბამისად კომპანიამ გაიარა შესაბამისი პროცედურა და 2020 წლის 14 სექტემბრის NC1-062/01-20 წერილით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიზნით წარმოადგინა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

სამინისტრომ განიხილა კომპანიის მიერ წარდგენილი განცხადება, ქ. რუსთავში „მეტალურგიულ (ფეროშენადნობთა) საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის აგლომერაციის (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 13 იანვრის N260/01 წერილით კომპანიას წარედგინა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული წერილით კომპანიას დაევალა ზემოაღნიშნული საკითხების/შენიშვნების შესახებ ინფორმაციის ერთი თვის ვადაში სამინისტროში წარდგენა.

2021 წლის 10 თებერვლის N2040 წერილით შპს „რუსელოის"-მა გარემოს დაცვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა 2021 წლის 13 იანვრის N260/01 წერილით განსაზღვრული საკითხების/შენიშვნების შესახებ ინფორმაციის ერთი თვის წარდგენის ვადია 1 თვით გახანგრძლივების თხოვნით.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა კომპანიის 2021 წლის 10 თებერვლის N2040 განცხადება და 2021 წლის 19 თებერვლის N1529/01 წერილით სამინისტრომ ქ. რუსთავში „მეტალურგიულ (ფეროშენადნობთა) საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის - აგლომერაციის (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით, განცხადების (შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციის) წარდგენის ვადა გაახანგრძლივა 15 დღით.

შპს „რუსელოის" / „Rusalloys" Ltd., საიდენტიფიკაციო კოდი / ID: 404504327
საქართველო, თბილისი 0108, მ. ბროსეს ქ. 2, ოფისი №25
Office №25; 2, M. Brosse str., 0108 Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 32) 224 40 60
E-mail: info@rusalloys.com
www.rusalloys.com

6618
14.04.21
2/2 CD

დამატებით, 2021 წლის 26 თებერვლის N3424 წერილით (სამინისტროს რეგისტრაციის N2040) შპს „რუსელოის“-მა მიმართა სამინისტროს თხოვნით, რომ 2021 წლის 13 იანვრის N260/01 წერილით განსაზღვრული საკითხების/შენიშვნების მომზადების ვადად განსაზღვრულიყო სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2021 წლის 16 თებერვლის N21/349 წერილის კომპანიაში ჩაბარების თარიღიდან 15 სამუშაო დღე.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 18 მარტის N2563/01 წერილით კომპანიას ეცნობა, რომ სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნია ქ. რუსთავში „მეტალურგიულ (ფეროშენადნობთა) საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის - აგლომერაციის (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა გახანგრძლივდეს ერთი თვით.

2021 წლის 18 მარტის N2563/01 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 13 იანვრის N260/01 წერილით განსაზღვრული საკითხების/შენიშვნების შესახებ და შპს „რუსელოის“-ის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებულ პროექტს.

დანართები

1. ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 13 იანვრის N260/01 წერილით განსაზღვრული საკითხების/შენიშვნების შესახებ;

2. შპს „რუსელოის“-ის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტი.

პატივისცემით,

შპს „რუსელოის“-ის

გენერალური დირექტორი

ნუგზარ კევლიშვილი

შპს „რუსელოის“ * LTD * RUSALLOYS * 404504327